

## საქართველოს კანონი

### „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1.** „საბაჟო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №11-12, 14.03.1998, გვ.37) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატება:

**1. მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 2. საბაჟო მოსაკრებლის ცნება**

საბაჟო მოსაკრებელი არის პირებისათვის სავალდებულო ფულადი შესატანი სახელმწიფო ბიუჯეტში, რომელსაც ახდენენ საბაჟო ორგანოები საქონლის მიერ საბაჟო საზღვრის გადაკვეთისათვის განხორციელებული სავალდებულო საბაჟო პროცედურებისათვის.“

**2. მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 3. საბაჟო მოსაკრებლის გადამხდელები**

საბაჟო მოსაკრებლის გადამხდელები არიან პირები, რომელთაც საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე შემოაქვთ ან ამ ტერიტორიიდან გააქვთ საქონელი.“.

**3. მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 5. საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთები**

**1. საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთებია:**

ა) საბაჟო საზღვარზე გადაადგილებული საქონლისათვის გათვალისწინებული საბაჟო პროცედურებისათვის (გარდა საქონლის დროებითი შემოტანისა):

ა.ა) 3000 ლარზე ნაკლები საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ დეკლარაციაზე 5 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ა.ბ) 3000 ლარი და მეტი საბაჟო ღირებულების საქონელზე – ერთ დეკლარაციაზე 60 ევროს ეკვივალენტი ლარებში;

ბ) საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის დროებითი შემოტანისათვის:

ბ.ა) 10000 კილოგრამის ჩათვლით წონის საქონლის ყოველ კილოგრამზე – 1 თეთრი;

ბ.ბ) 10000 კილოგრამზე მეტი წონის საქონელზე – 100 ლარი + 0,3 თეთრი 10000 კილოგრამის ზევით ყოველ კილოგრამზე;

ბ.გ) საგამოფენო დანიშნულების საქონლის ყოველ კილოგრამზე – 2,5 თეთრი.

2. საბაჟო ორგანოს არასამუშაო დროს ან/და სხვა ადგილებში საბაჟო პროცედურების განხორციელებისას ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთები სამმაგდება.

3. საქართველოს საბაჟო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად დეკლარანტის წერილობითი განცხადების საფუძველზე დეკლარაციაში ცვლილების განხორციელებისას ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული საბაჟო მოსაკრებლის განაკვეთები ნახევრდება.“.

#### 4. მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:

„თ) საქონლის დაბრუნება საქართველოს საბაჟო კოდექსის 123-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 132-ე მუხლის მე-2 ნაწილით და საქონლის დროებითი შემოტანა 128-ე მუხლის პირველი ნაწილის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.“.

#### 5. მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 7. საბაჟო მოსაკრებლების დარიცხვისა და გადახდევინების წესი

1. საბაჟო მოსაკრებლების დარიცხვის და გადახდევინების საფუძველია საბაჟო დეკლარაცია.

2. საბაჟო მოსაკრებელი გადაიხდევინება საბაჟო დეკლარაციის წარდგენის დროს საქონლის გაშვებამდე სხვა საბაჟო გადასახდევინებთან ერთად.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი